



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის,
№30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის ფრიდონ ფუტკარაძის
2022 წლის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წელი

ანგარიშში ასახულია 2022 წლის 1 იანვარი 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის, №30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის ფრიდონ ფუტკარაძის საქმიანობის, უფლება-მოვალეობებით გათვალისწინებული აქტივობების ინფორმაციული ნუსხა და განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩამონათვალი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციის და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი) უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე, ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ფრიდონ ფუტკარაძეს (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური) ჰყავს ოთხი წარმომადგენელი.

საანგარიშო პერიოდში ფრიდონ ფუტკარაძემ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შემოსული 101 მოქალაქის განცხადება. მიიღო უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში 106 მოქალაქე, ხოლო უმაღლესი საბჭოს ჩართულობის ცენტრში 41 მოქალაქე. ასევე, ჰქონდა შეხვედრები მოქალაქეებთან №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის ბიუროებში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური). მოქალაქეების განცხადებებთან და მიღების დროს გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით, მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

სადეპუტატო შეკითხვები

საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, ფრიდონ ფუტკარაძის მიერ გაიგზავნა ექვსი სადეპუტატო შეკითხვა, რომლის პასუხები შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრულ დროში.

თემატური მოკვლევები

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და დასრულების პროცესშია ორი თემატური მოკვლევა: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ“ და „დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვა და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობა“, რომელებშიც ჩართულია სამეცნიერო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, სახელმწიფო სტრუქტურები და ადგილობრივი ორგანოები.

**ფრიდონ ფუტკარაძე მონაწილეობდა
სხვადასხვა სახის ღონისძიებებში**

კერძოდ:

1. 2022 წლის 26 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, №30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში დაესწრო „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის" პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრას, სადაც ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.
2. 2022 წლის 7 თებერვალს, ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, ახალი ბულვარის ნაპირსამაგრი სამუშაოების საკითხზე გამართულ შეხვედრას დაესწრო.
3. 2022 წლის 23 თებერვალს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ესწრებოდა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის გიორგი სურმანიძის მიერ ქედის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის 2022 წელს დაგეგმილი პროგრამებისა და სამომავლო კოორდინირებული თანამშრომლობის საკითხების პრეზენტაციას.
4. 2022 წლის 18 მარტს, შუახევის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაო ფორმატში განხილვას დაესწრო.
5. 2022 წლის 26 მარტს, სასტუმრო „რედისონში“, „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA) პირველ ბიზნესფორუმს დაესწრო.
6. 2022 წლის 4 აპრილს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში „სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვნა-თესვის“ პროგრამასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.
7. 2022 წლის 6 აპრილს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში შუახევის მუნიციპალიტეტში აგროსერვის ცენტრის შუახევის საჩითილე მეურნეობაში მიმდინარე სამუშაო პროცესს დაესწრო.
8. 2022 წლის 7 აპრილს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან გიორგი სურმანიძესთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტში მევენახეებთან გამართულ შეხვედრას დაესწრო.
9. 2022 წლის 8 აპრილს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძენწმანში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის მიმღებ-გადამამუშავებელ საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნო.
10. 2022 წლის 11 აპრილს, უმაღლესი საბჭოს ახალი ვებპლატფორმა - Chaerte.sca.ge-ს გაცნობით დაიწყო თავისი გამოსვლა ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე. დეპუტატის განმარტებით, ახალი ვებპლატფორმით, რომელიც სრულადაა ადაპტირებული შშმ პირებისთვის, მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ: ელექტრონული პეტიციების წარდგენა, მხარდაჭერა, კანონპროექტზე კომენტარის გაკეთება, უმაღლესი საბჭოსთვის განცხადებით მიმართვა, საშვის ელექტრონულად მოთხოვნა, სხდომებზე დასწრება, უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის წინასწარ ჩანიშვნა, აჭარის ბიუჯეტის, სადეპუტატო კითხვების, პასუხების, უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრების, კომიტეტების, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების გაცნობა.
11. 2022 წლის 12 აპრილს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, შუახევის მერთან ომარ ტაკიძესთან და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, წყალსაყრის თემის მოსახლეობას შეხვდა, სადაც მოსახლეობამ, მათთვის პრიორიტეტული პროექტები შეარჩიეს, რაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსების ფარგლებშია შესაძლებელი.
12. 2022 წლის 13 აპრილს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან, ჯაბა ფუტკარაძესთან და ხულოს მერთან, ვახტანგ ბერიძესთან ერთად, სხალთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა და ადგილობრივების საჭიროებებს გაეცნო. ასევე, ესაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს ახლად შექმნილი ვებ-პლატფორმა - Chaerte.sca.ge შესახებ.

13. 2022 წლის 13 აპრილს, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის მერთან როლანდ ბერიძესთან, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან ირმა აფხაზავასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დოლოგნისა და მახუნცეთის მოსახლეობას შეხვდა. გაეცნო ადგილობრივ მოსახლეობასთან არსებულ გამოწვევებს და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა. ასევე, ესაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს ახლად შექმნილი ვებ-პლატფორმა - Chaerte.sca.ge შესახებ.

14. 2022 წლის 15 აპრილს, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტის მერთან, როლანდ ბერიძესთან, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან ირმა აფხაზავასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დოლოგნისა და მახუნცეთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე, ისაუბრა სოფლად არსებულ გამოწვევებზე და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა. ასევე, ესაუბრა აჭარის უმაღლესი საბჭოს ახლად შექმნილი ვებ-პლატფორმა - Chaerte.sca.ge შესახებ.

15. 2022 წლის 19 აპრილს, ხულოს სამედიცინო ცენტრში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჭვაძესთან და ჯანდაცვის მინისტრთან ნინო ნიჭარაძესთან ერთად, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებისა და მაღალმთიანი მოსახლეობის სრულფასოვანი, ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი რეანიმობილების გადაცემის პროცესს დაესწრო.

16. 2022 წლის 20 აპრილს, ქედის მუნიციპალიტეტის ცხმორისისა და დანდალოს მცხოვრებლების პრობლემებს გაეცნო და დახმარების მიზნით თანადგომა გამოუცხადა.

17. 2022 წლის 26 აპრილს, უმაღლესი საბჭოს წევრთან ლაშა სირაბიძესთან, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილესთან მარინა ზანაქიძესთან □□ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, დაბა ქედისა და პირველი მაისის მცხოვრებლებს შეხვდა. შეხვედრის უმთავრესი თემა რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, ადგილობრივთა გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები იყო.

18. 2022 წლის 28 აპრილს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ბათუმის რეგიონულ ლაბორატორიაში გამართულ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

19. 2022 წლის 28 აპრილს, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან მირიან ქათამაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს შეხვდა და ადგილობრივი მცხოვრებლების პრობლემებს გაეცნო.

20. 2022 წლის 4 მაისს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, კირნათის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე, მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა.

21. 2022 წლის 10 მაისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვაში მიიღო მონაწილეობა.

22. 2022 წლის 16 მაისს, შუახევის მერთან ომარ ტაკიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მთა ჩირუხში იმყოფებოდა და მოახლოებულ საზაფხულო იალაღებზე გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნო.

23. 2022 წლის 25 მაისს, მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერთან ზაზა დიასამიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ჭარნალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა. მოსახლეობას სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის პროგრამებზე ესაუბრა და მოუწოდა, რომ აქტიურად ჩაერთონ ამ პროგრამებში. ასევე, გაეცნო მოსახლეობის პრობლემებს და ესაუბრა სხვადასხვა საკითხებზე.

24. 2022 წლის 1 ივნისს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტყარაძესთან, ხელვაჩაურის მერთან ზაზა დიასამიძესთან და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად, სარფში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

25. 2022 წლის 3 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენცია - „შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნები/ადგილწარმოშობის პროდუქტები“.

26. 2022 წლის 3 ივნისს, საქართველოს პარლამენტის წევრთან ანზორ ბოლქვაძესთან, შუახევის მერთან ომარ ტაკიძესთან, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შუახევში საზაფხულო იალაღებზე, გომის მთის მიმართულებით მისასვლელი გზების თოვლის საფარისგან გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

27. 2022 წლის 4 ივნისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან ერთად ხულოს მუნიციპალიტეტში „სელიმოზის“ ტრადიციულ დღესასწაულს დაესწრო.

28. 2022 წლის 5 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გონიოს სანაპირო ზოლის დასუფთავების აქციაში.

29. 2022 წლის 6 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა.

30. 2022 წლის 11 ივნისს, უმაღლესი საბჭოს წევრთან ფატი ხალვაშთან და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტში, ირმა ხვიჩიას სარეაბილიტაციო ცენტრის ფილიალის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

31. 2022 წლის 14 ივნისს, აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში - კელი დეგნანთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან ანზორ ბოლქვაძესთან, ხულოს მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ ბერიძესთან, ხულოს საკრებულოს თავმჯდომარეთან რენარ ბოლქვაძესთან ერთად, ვიზიტის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო. აშშ-საქართველოს ურთიერთობისა და სტრატეგიული პარტნიორობის 30 წლისთავზე გამართულ შეხვედრაზე, კელი დეგნანი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, მეწარმე ქალებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შეხვდა და ხულოს საჯარო ბიბლიოთეკაში „ამერიკული თარო“ გახსნა.

32. 2022 წლის 24 ივნისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში 2022 წლის 24 ივნისს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან ირმა აფხაზავასთან ერთად, თურქ მეცნიერსა და ბიზნესმენს ორჰან იაფუზს სამკურნალო და არომატული მცენარეების მოპოვება-დამუშავებაზე, მიზნობრივად გამოყენებასა და ფიტოთერაპიის მიმართულებით საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობის საკითხებზე შეხვდნენ და ისაუბრეს.

33. 2022 წლის 22 ივლისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებთან - ფატი ხალვაშთან, მარინე გვიანიძესთან, დავით თედორაძესთან, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტში ეთერ დეკანაძის საიუბილეო ღონისძიებას დაესწრო.

34. 2022 წლის 24 ივლისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში, ახალი საგამოფენო დარბაზის გახსნას დაესწრო.

35. 2022 წლის 26 ივლისს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში ქედის მუნიციპალიტეტში საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის გასვლით სხდომას დაესწრო.

36. 2022 წლის 26 ივლისს, იაპონიის ელჩთან - იმამურა აკირასთან, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტში, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ეკოავტობუსის გადაცემის პროცესს დაესწრო.

37. 2022 წლის 9 აგვისტოს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეთან თორნიკე რიჟვაძესთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების მასპინძლობით ბემუმსა და ჩირუხში, თურქეთის ქალაქ ინეგოლში მცხოვრები „ჩვენებურები“-

გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს დაესწრო.

38. 2022 წლის 11 აგვისტოს, შუახევის მუნიციპალიტეტში კარაპეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 3,11კმ. სიგრძის მონაკვეთზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების აქტიურად მიმდინარეობის პროცესს დაესწრო.
39. 2022 წლის 13 აგვისტოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპნისთავში გამართულ ფესტივალს „კაპანი“ დაესწრო. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო ტური სოფელ კაპნისთავში, სადაც მოინახულეს ეთნოგრაფიული მუზეუმი, ნალია, წყლის წისქვილი და ღვინის მარანი. ასევე, გაიმართა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები.
40. 2022 წლის 14 აგვისტოს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაოში, გაეროსა და ევროკავშირის თანადაფინანსებით აშენებულ, სასტუმრო „შატო ჩაო“-ს გახსნას დაესწრო.
41. 2022 წლის 22 აგვისტოს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტყარაძესთან, ხელვაჩაურის მერთან ზაზა დიასამიძესთან, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსთან მამუკა თურმანიძესთან და სპეციალისტებთან ერთად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის დაწყების პროცესს გაეცნო. მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი ხელვაჩაურის 3 ადმინისტრაციულ ერთეულს დააკავშირებს. აღნიშნული პროექტი გოროდოკი-ახალშენი-ზედა წინსვლას 3,1 კმ გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობას ითვალისწინებს.
42. 2022 წლის 25 აგვისტოს, საზღვრისპირა სოფელ სარფში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს „კოლხობა“-მ დაესწრო.
43. 2022 წლის 25 აგვისტოს, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ, პროექტ „ეტალონის“ 2022 წლის გამარჯვებული მოსწავლის, გიორგი ჩხიკვაძის დაჯილდოების პროცესს დაესწრო. გიორგი, ოქტომბრის საჯარო სკოლის მოსწავლეა, რომელმაც პირველი ადგილი 76 ქულით 6 წუთსა და 57 წამში მოიპოვა.
44. 2022 წლის 29 აგვისტოს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში შუახევის მუნიციპალიტეტში სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ლაბორატორიაში ტყის სანიტარულ მდგომარეობას და სატაქსაციო მაჩვენებლებს გაეცნო.
45. 2022 წლის 13 სექტემბერს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.
46. 2022 წლის 15 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, დაბა ხულოს საჯარო სკოლაში და შუახევის მუნიციპალიტეტის, ფურტიოს, ბუთურაულის, ნენიისა და ჯაბნძეების საჯარო სკოლებსა და ბაგა-ბაღებში იმყოფებოდა. პატარებსა და პედაგოგებს მიულოცა სასწავლო წლის დაწყება.
47. 2022 წლის 23 სექტემბერს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში, რიგით მეათე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალს „ზე-კართან“ გახსნას დაესწრო. ფესტივალის მიზანია თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობა, აჭარის მაღალმთიანეთის პოპულარიზაციის გაზრდა მწერლებსა და პოეტებში, რათა აჭარის ისტორიასა და კულტურაზე, მისი ბუნების სილამაზეზე უფრო მეტი ახალი ნაწარმოები შეიქმნას.
48. 2022 წლის 26 სექტემბერს, ხულოს დრამატული თეატრის მიმდებარედ გამართულ ლიტერატურული ფესტივალის "ზე-კართან" საზეიმო დახურვას დაესწრო. ფესტივალი ოთხი დღის განმავლობაში სოფელ ფურტიოში, ჭალაში, საფუტკრეთსა და ხულოს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა.
49. 2022 წლის 26 სექტემბერს, ხულოს მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ ბერიძესთან და საქართველოს პარლამენტის წევრთან ანზორ ბოლქვაძესთან ერთად, ხულოში მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდა □□გაეცნო მოქალაქეების როგორც საერთო, ისე ინდივიდუალურ პრობლემებს.
50. 2022 წლის 29 სექტემბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ერგეში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. პროექტის ფარგლებში ბაშკო-ეკალაური-ლორთქიფანიძეების საავტომობილო გზის 1,8-კილომეტრიან მონაკვეთზე თანამედროვე სტანდარტების ასფალტობეტონი დაიგება.

51. 2022 წლის 30 სექტემბერს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და გაეცნო მტირალასა და სოფელ ყოროლისთავის ტურისტული განვითარების შესაძლებლობებს.

52. 2022 წლის 1 ოქტომბერს, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზაზე ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქციის აქტიურად მიმდინარეობის პროცესს დაესწრო. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზამდე მივა. აქტიურად მიმდინარეობს როგორც გზის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ისე ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, ხულო-ზარზმის მონაკვეთზე დაიგება 2 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი.

53. 2022 წლის 1 ოქტომბერს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ლიტერატურული კონკურსი „პეგასი - 2022“-ის დასკვნით ღონისძიებას დაეწრო. კონკურსის გამარჯვებულ ოთხ ბერიძეს მთავარი პრიზი გადასცეს, მონაწილეებს კი, მადლობა გადაუხადეს ჩართულობისა და აქტიურობისთვის და წარმატებები უსურვეს. აღნიშნულ ღონისძიებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა.

54. 2022 წლის 2 ოქტომბერს, ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში 86-ე სეზონთან დაკავშირებით, საპრემიერო სპექტაკლის - გურამ დოჩანაშვილი „ხორუმი ქართული ცეკვა“-მ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

55. 2022 წლის 4 ოქტომბერს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად, მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოფელ წყაროთის, ჭალას, ახალდაბის, ცეკვას, ცხემლისისა და ჭვანის მოსახლეობას შეხვდა. აღნიშნულ შეხვედრაზე ისაუბრეს დაგეგმილ პროექტებსა და მიმდინარე ღონისძიებებზე, ასევე სხვადასხვა საკითხებსა და პრობლემებზე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს.

56. 2022 წლის 5 ოქტომბერს, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტყარაძესთან, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად, ორთაბათუმის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე, ადგილობრივებისგან მოისმინეს სოფლად არსებული გამოწვევები და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს. ასევე, ისაუბრეს დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე.

57. 2022 წლის 12 ოქტომბერს, შუახევის მერთან ომარ ტაკიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან როსტომ ლორთქიფანიძესთან ერთად, საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განიხილე, არსებული ვითარება და მიმდინარე პროექტები, რომელიც მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ ხორციელდება. ასევე, იმსჯელეს 2023 წლის პრიორიტეტებზე, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განახლებას, მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ ახალ პროგრამებს, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერას.

58. 2022 წლის 12 ოქტომბერს, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, ნინო ნიჟარაძესთან, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილესთან ბადრი ნაკაშიძესთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს მიმდინარე პროგრამების, პროექტებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე, მოისმინეს მოსახლეობის საჭიროებები და იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე.

59. 2022 წლის 13 ოქტომბერს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაოში ახალი ტურისტული ლოკაციის „კოტაჯვარზე“ გადასახედის მოწყობის გახსნის პროცესს დაესწრო. აღნიშნული ტურისტული ობიექტის გაჩენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმისა და ეკონომიკური სფეროს განვითარებას.

60. 2022 წლის 26 ოქტომბერს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივებს მიმდინარე პროგრამების, პროექტებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ ესაუბრნენ. ასევე, მოისმინეს

სოფლის საჭიროებები და შესაბამისი უწყებების ჩართულობით იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე.

61. 2022 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან თეა წულუკიანთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან ანზორ ბოლქვაძესთან, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან და ხულოს მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ ბერიძესთან ერთად, ხულოს კულტურის ცენტრში გამართულ ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიებაზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ხულოს კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხას“ საჩუქრად 17 კომპლექტი ჩაქურა და ერთი აჭარული სასცენო კაბა გადასცა.

62. 2022 წლის 29 ოქტომბერს, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლის 100 წლისთავთან დაკავშირებით, საუკუნოვანი საგანმანათლებლო კერის მოსწავლეებსა და პედაგოგებს საიუბილეო თარიღი მიულოცა.

63. 2022 წლის 15 ნოემბერს, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ტიტე არომიძესთან ერთად, ქედაში გამართულ ტრადიციულ დღესასწაულს - „შემოდგომა ქედაში“ და „ქედის ღვინის ფესტივალი“-ზე მონაწილეობა მიიღო.

64. 2022 წლის 22 ნოემბერს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში დაესწრო საქართველოში მცენარეთა დაცვის აქტუალურ პრობლემებზე გამართულ სამუშაო შეხვედრას.

65. 2022 წლის 25 ნოემბერს, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში დაესწრო ბათუმში აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების რიგით მე-10 საერთაშორისო გამოფენის გახსნას.

66. 2022 წლის 28 ნოემბერს, შუახევში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „შუახეობა“-ზე მონაწილეობა მიიღო.

67. 2022 წლის 3 დეკემბერს, დაბა ხულოში, სახელოვნებო სკოლის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს დაესწრო.

68. 2022 წლის 9 დეკემბერს, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან ჯაბა ფუტყარაძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გოროდოკი-ახალშენი-ზედა წინსვლის 3,1- კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

69. 2022 წლის 14 დეკემბერს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ნინო ნიჟარაძესთან ერთად, სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და დაგეგმილი პროგრამული სიახლეები, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლის ექიმებს, მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს გააცნო.

70. 2022 წლის 26 დეკემბერს, შუახევის მერთან ომარ ტაკიძესთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულში სპორტული მოედნის მოწყობის დასრულებული სამუშაოები დაათვალიერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი,
№30 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი